

572
1971

1971 წლისთვის N11



ბიჭა





ნოქჩუკი

იორამ ჯივარბალიძე

ქარმა სე და ბუნქი
ფოთლებივსგან გაცლავ;
წავა შემოდგომაც
აგერ-აგერ სავცა...

ზოგი შემოსული,
ზოგი მოწეული—
ატამი და ზღმარტლი,
კომში, ბროწეული;

მინახული ხილი,
მისანახი ხილი—
ნოქმბერში ვახლავთ
ტკბილსე უფრო ტკბილი.

მაგრამ ეს თვე კიდევ
რატომ გვიყვანს—გოტყვით:
დაბადების თვეა
დიდი საბჭოეთის.

ნახატი უზრავ ჰაპანამი



1583

ლენინი და ბიჭვი

ა. კონონიძე

ნახატები ლ. ხაჩიძისა

სოფლის შარავნაზე კალათით ხელში ბიჭუნა მიდიოდა. მთელი ეს გზა—მინდორი, მდინარე და მასზე გადებული ბონდი ბიჭუნასთვის ნაცნობი და ახლობელი იყო. მაღლობზე, ხეებს შორის, დიდი თეთრი სახლი მოჩანდა. უცებ ბიჭუნამ ცისფერპერანგა, ფლოსტებში ფეხწყაყოფი მამაკაცს მოჰკრა თვალი. ბიჭი მიუახლოვდა უცნობს და თითქოს ტრახანით უთხრა:

— თქვენ იცით, იმ სახლში ლენინი ცხოვრობს;

უცნობმა ქუდი გადაიწია და მზისაგან მოქუტუტ თვალებში ადერსი გამოუკრტა.

„აღბათ ქაღაქეღია“—გაიფიქრა ბიჭუნამ.

— ეს ცნობილი ადგილია,—თქვა ხმაშაშადა,— აქ ხშირად ჩამოდიან ქაღაქეღანა.

— აქაურობას არაფერი სჯობია,—დეათანხმა ცისფერპერანგა უცნობი და გზა ერთად განაგრძეს.

— იცით, როგორ მინდა ლენინის ნახვა!—თქვა ბიჭუნამ.

— რად გინდა?

— როგორ თუ რად მინდა? არ უნდა ვიცოდე, როგორია?

— ჩვეულებრივი კაცია. ამბობენ, მე და ლენინი ორი წვეთი წყალივით გვაგვართ ერთმანეთს.

— როგორ თუ ჰგავხართ?

კაცს გაუღიმა.

ბიჭუნამ ყურადღებით შეათვალიერა უცნობის ცისფერი პერანგი, ფლოსტები და თქვა:

— კი, მაგრამ ვანა ლენინი ცისფერი პერანგით ივლის, მას შავი პიჯაკი ეცმება.

საუბარში გართულები თეთრ სახლს ისე მიუახლოვდნენ, არც გაუგიათ.

ცისფერპერანგა კაცი შეჩერდა და ბიჭუნას მიუბრუნდა:

— შენ რა გქვია, ბიჭიკო? საით მიდიხარ?

— მიშა მქვია. კომბოსტოს მოსატანად მივდივარ კლემურნეობაში.

— მაშ, ჩვენი გზა აქ გაიყოფა. ნახვამდის, მიშა!

ბიჭმა გზა განაგრძო. გზის პირას ქალი იდგა





ფოცხით ხედში. ბიჭი მოუახლოვდა თუ არა, ქა-
ლი ფოცხს დაეყრდნო და ღიმილით ჰკითხა:
— რაზე გვსაუბრებოდა ღენინი?

გოგონებულმა ბიჭმა კადათი დადგა და ის იყო
შუკან აპირებდა გაქცევას... მაგრამ ღენინი უკვე
თვალს მიფარებოდა.

თარგმანი **ანლი ნაკათილია**



თვალსუჭობანა

ხუჭი,
 ხუჭი,
 ხუჭული,
 არ გავიგოთ
 ჩურჩული.
 თვალსუჭუნას
 ეთამაშობთ,
 გვიხმობს
 ყველა
 კუნჭული.
 შენ დახუჭვე
 თვალები,
 ჩვენ კი
 დავიმალებით!



დაჭერობანა



ვაშლი,
 მსხალი,
 ატა-მი.
 მელას
 მიჰყავს
 ქათა-მი.
 უკან
 მისდევს
 მღევა-რი:
 გია,
 თამრო,
 ლევა-ნი.
 მარდი გარბის
 ჩქარ-ჩქარა,
 ვინ ჩამორჩა?
 ჩანჩა-ლა!

გოჭი

აგტოუსი ხიდზე გადიოდა. მთვლემარე მგზავ-
 რები შეწყობილად მიაკანტურებდნენ თავებს.
 რბილურტიან სკამზე, ფანჯარასთან, პატარა
 ბიჭი მოზუზულიყო. ბიჭის გვერდით შეათავსაფ-
 რიანი დედაბერი იჯდა. ქალს მხრებზე კუბოკ-
 რული შალი ჰქონდა წამოსხმული. ბებია და
 შვილიშვილი ხმადაბლა ლაპარაკობდნენ:

- ბებო, ბებო...
- რა იყო, შვილო?
- დედას ფებს ხომ არ მოაჭრიან, ე?
- აბა, რას ამბობ!
- მაშ, რად დააწინეს საავადმყოფოში?
- ფეხი რომ სტკივა და კოჭლოზს—ოპკრა-
 ციას გაუკეთებენ და მოურჩენენ.
- ძალიან ეტკინება?

— ნუ გეშინია, ისეთ წამალს დააღვეინებენ,
 ვერაფერს გაიგებს.

ბიჭი ერთ ხანს გაჩუმდა. ფანჯარაში დაიწყო
 ყურება. მერე ისევ ბუბის მიუბრუნდა:

- ბებო, ბებო...
 - რა იყო, ვეღარ მოგიხვენი, —უთხრა წყრო-
 მით ქალმა.
 - ბებო, რატომ არ დამტოვე დედასთან?
 - არ შეიძლებოდა, შვილო.
 - იქ ისე წესიერად მოვიქცეოდი...
 - ხომ გითხარი, არაფრით არ შეიძლე-
 ბოდა-მეთქი.
 - რომ მომენატრება, რა ვქნა, ე?!
- ბიჭმა ჩუმად ამოიხრა და სკამის კუთხეში
 მიიყუცა.



აგტობუსი გაჩერდა. წინა კარი გაიღო, შიგ ბურტყალაულ ვაში ან მამა მოხუცმა შემოჰყო თავი. მოხუცს ცალ ხელში ბადურით ძუძუთა გოჭი ბეჭირა, მეორეში— ხილით სავსე კალათა. გოჭი თეთრი იყო, ალავ რუხი ლაქები ჰქონდა. კაცი თავისუფალ ადგილას დაჯდა, ხილით სავსე კალათა გვერდით მოიდგა, გოჭი კი ფეხებშუა მოხერხებულად ჩაისვა.

აგტობუსი დაიძრა. გოჭი ერთ ხანს ჩუმად იყო, მერე აჰყვილდა. მგზავრები გამიზარულდნენ. დიდი თუ პატარა გოჭისაკენ შებრუნდა. — რა დაგეშართა, შე სამგლევე, შენა!— ბრაზობდა მოხუცი.

— ალბათ შია!— თქვა ერთმა მგზავრმა.

— წამოსვლისას ჩაცეცხლა!— გაეპასუხა მოხუცი.

— შეიძლება სცივა.— თქვა მეორემ.

ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა... გოჭი კი კვლავ გულისგამაწვრილებლა დჰყიოდა.

— ბებო, ბებო.— უჩუროს ბიჭმა ბებოს.

— რა იყო, ბებო გენაცვალოს?

— მაგ გოჭს დედა უნდა, ი!

სანდროს სიზმარი



ილია აბაშაძე

ციცქნა სანდრო-ბიჭის სიზმარს ისმენს ყველა:

დედა, მამა, პაპა, უფროსი ძმა— გელა.

— ეთომ ოქროს რაშთ მივფრინავდით ცაში, მივფრინავდით ქარში მზიურ აფრიკაში.

რა მზე იჯლა გელა: ქვემოთ იწვა კული.

ფრიალებდა წითლად გელას ყელსაზევი.

საჩუქრები მიგეკონდა, იცით, მერე— ვისთვის?

მზეში შავად დამწვარ ზანგი ბაულეებისთვის.

გაეშალა მერანს ოქროსფერი ფრთები...

გადასვრეთ ტბები, გადავლახეთ მიწები,

ვერ შეგვპართო ბრვენავ ქარიშხლიან ზღვათა...

ნახატი ზურბე მამარიაშვილისა

მაგრამ ეს რა მოხდა,

ეს რა დაგვეშართა!...— სანდრო?

— რა შეგვეძინებო, სანდრო?— უკითხება გელა.

— წამოვიდა ტალღა ათასი მთის ხელა.

გაიტაცა ქარმა ჩვენი ოქროს რაში;

გადავფრეთ თავივე იმ ბოლოქარ ზღვაში.

— ცა და მიწა გუგუნებს, ცა და მიწა ვლავს...

— მერე, მერე რა მოხდა?— ელიძება გელას.

— შე, სიზმარშიმე ტრაბახავ, არ მიშველე მერე?...

— მერე...— სანდრო იფრინებს, მაგრამ ვეღარ იხსენებს და უწყნოდ შლის ხელებს.

— მერე?— უცებ წამოხტა,— მე რას შეიძინებო, ვითომ,

წუხელ იმ ქარიშხალში იქ არ იყავ თვითონ?



ნათია

თაბარა ლომიძე ნახატი პახბანზ 'გულისაშვილისა

პატარა ნათია ოლა ბებომ სოფელში წაიყვანა. მეორე დღეს ნათიას ახალი ფეხსაცმელები ჩააცვა და უთხრა:

— ნაწვიმარია, ეზოში ფრთხილად იარე, ცალახს მოერიდე, ფეხსაცმელები არ დაგეხვაროსო. ნათია დერეფანში იდგა და კრუხის გარშემო მოფუსფუსე ფუმფულა წიწილებს უტკეროდა.

უცებ სახედარმა დაიყროყინა. ნათია შეხტა და შიშისაგან გაფთრდა. ოლა ბებომ მარნიდან კიკით წყალი გამოარბენინა და შეშინებულ ნათიას

დაალევირა. ბავშვი კალთაში ჩაისვა და დამშვიდება დაუწყო. თან გააფრთხილა: არ შეგეშინდეს, შეილო, სახედარმა ასეთი ყროყინი იცისო! იქვე, შაქრო პაპა თუთის ხის ქვეშ გოდრებს ახალ სახელურებს აწნიდა. ნათიას შეშინება რომ შეიტყო, ბავშვის გასამხნეველად წამოიძახა:

— მაგ სახედარს ახალ ფეხსაცმელებს რომ ჩავაცმევ, აღარ დაიყროყინებსო.

ნათია ბებოს კალტიდან ვაღმოვიდა და შაქრო პაპასთან მიიჩბინა. თან ფრთხილობდა, ფეხსაცმელი არ დამეხვაროსო.

— პაპა, ვირს ფეხსაცმელი რად უნდა, ის ხომ ვირია!—გაკვირვებით იკითხა ნათიამ.

— ვირსაც უნდა ფეხსაცმელი,—უთხრა პაპამ,—გაუტევა. ახლა, კაცი მოვა, მოიტანს და ჩავაცმევთ.

მალე ეზოში ნალბანდი შემოვიდა. პაპას მიეცა სალმა, ილიაში ამოდებული ფიცრის ყუთი თონეზე დადო. შაქრო პაპა და ნალბანდი სახედართან მივიდნენ. ერთი ფეხი აუწიეს, ნალბანდმა ჩლიქის ნაცვეთები დანით შემოათალა, შემდეგ ყუთიდან პრილა ნალი ამოიღო და ფეხზე მოარგო. ნალის ნახვრეტში ლურსმანი ჩაარქო და რამდენჯერმე ჩაარტყა ჩაქუჩი.

ვირი ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა და შაქრო პაპას აქეთ-იქით აბარბაცებდა. რის ვაი-ვავლახით დააქედეს ვირს ოთხივე ფეხზე ნალი. ნათია ვირთან მივიდა და თითის ქნევით დაემუქრა:

— ვირო, არ დაისვარო ფეხსაცმელი, თორემ შაქრო პაპა დაგსჯის!

მელა და ციყვი

მარი აბრამიშვილი


მელამ თქვა:—მოდის ზამთარი
და შიმშილის როგორ გადფურჩე?
ან ვინ მომიტანს ქათმის ზორცს
ან ვინ მომიქსოვს ფაჩურებს?

ციყვმა თქვა:—მთელ წელს მეყოფა,
იმდენი თხილი დაგზურჩე,
თხილის გულს ვაკუმევ გამრჯელებს,
უქნარას მივცემ ნაჭუჭებს.



კინო


კედელს ტიღო მივგაგარი,
გავაკეთე სახლში კინო,
მოვიწვიე თოჯინები:
ნიკო, პელი, ზაბა, ნინო...



კა ყოფილა!

სვანა მხარბრიძე

რა ყოფილა, რა ყოფილა,
ეს კურღელი რა ყოფილა!
ჰქონდა ციციქნა სტაფილა და
ცხრა ბაჭიას ამყოფინა!









თხუნია

პიესა 2 სურათად

მონანიღანი: გურამი, ბროლია, დინგა, ბოჩოლა.

სურათი პირველი

სცენა წარმოადგენს ამწვანებულ ეზოს. ბროლია ხსის ძირას დგას. შემოდის ბოჩოლა.

ბოჩოლა—გამარჯობა, ბროლია!

ბროლია—გაგიმარჯოს, ძმობილო, როგორა ხარ?

ბოჩოლა—კარგად, ბროლია, გურამი გვეწვია!

ბროლია—ძალიან სასიხარულოა.

ბოჩოლა—კარგი ბიჭია, დიდხანს მეაღერსა.

ბროლია—დინგა არ იკითხა?

ბოჩოლა—როგორ არა, სად არის ჩემი თეთრი ღრუტუნა დინგაო. უჰ, რა მიხარია! დავუძახხო დინგას და ვითამაშოთ გურამთან.

ბროლია—კაი დაგემართოს, კარგი იყოს! მაგრამ დინგა შეგვარცხვენს, ის ხომ მუდამ მოთხუბნულია.

ბოჩოლა—შეგვარცხვენს, კი...

ბროლია—უნდა გავაფრთხილოთ დინგა, რომ ლაფში ამოსვრილი გურამს არ შეხედეს. თავი მოგვეჭრება.

ბოჩოლა—სულ ნუ გვინდა ასეთი მეგობარი.

ბროლია—არა, ჯერ, გავაფრთხილოთ.
(ისმის ძაღლის ყფა. შემობრის დინგა, პირში ვაშლი უჭირავს.)

დინგა—უჰ, როგორ მიყვარს მწიფე ვაშლი!

ბროლია—ღრუტუ, რას სჩადიხარ, რატომ დაძვრები სხვის ეზოებში, ალბათ ახლაც...

დინგა—არა, ბროლია, ვაშლი გზაზე ვიპოვე.

ბროლია—ტარობიც? ასე ამბოვ ყოველთვის.

დინგა—ტყუილად მაბრალებ ქურდობას! რაც შენი თვალით არ გინახავს, არ უნდა თქვა.

ბოჩოლა—ვინ იცის, იქნებ მართლა სხვა იბარავს.

დინგა—მე ერთი საწყალი ღრუტუნა ვარ. დადივარ მარტოდმარტო ორღობებში და ვღრუტუნებ.

ბროლია—კი მაგრამ, ყველა რომ ქურდსა და მსუნავს გეძახის?

დინგა—ცილსა მწამებენ.

ბროლია—ვითომ?

დინგა—ღმერთმანი, ტყეში დადივარ, ჩამოვუვლი პანტებს, მუხებს, წიფლებსა და წაბლებს... თუ ზამთარია, დინგით მიწას ვჩიჩქნი, გვიმრისა და ბალახის ძირებს ვიანლები.

ბროლია—კარგი, კარგი, მკურა. მაგრამ ერთი ცუდი ზნე რომ გჭირს?

დინგა—რა?

ბოჩოლა—მუდამ ლაფში ხარ ამოსვრილი.



ბროლია—წელან მე და ბოჩოლას სწორედ ამაზე გვექონდა ლაპარაკი, დღეს გურამი გვეწვევა და ასე ამოთხუპნული რომ შეხვდები, რას იტყვის?!

დინგა— გურამი?! უჰ, რა გამახარე! (თავს იქნევს და ტილისს აქეთ-იქით ყრის).

ბოჩოლა—ვაიმე, გავითხუპნე ტილისით!

ბროლია—რას სჩადინარ, ბრიყვი!

ბოჩოლა—თუ ჩვენთან მეგობრობა გინდა, აღარ ამოისვარო. რატომ წვები ლაფში?

დინგა— (ყურსაც არ ათხოვებს) რა კარგი ამბავი მითხარით, გურამი ჩამოსულა! (გადის).

ბოჩოლა—დამიმორცხება. ალბათ, აღარ ჩაწვება ლაფში.

ბროლია—ვენახოთ, რას იზამს!

სურათი მხორკი

იგივე ადგილი. შემოდინან: ბროლია, ბოჩოლა და გურამი.

გურამი— რა ლამაზი ხარ, ბოჩოლა, ჭამე ტირიფის ფოთლები. აჰა, ესეც შენ, ბროლია, პურის ნატეხი.

ბოჩოლა—გმადლობთ, მეგობარო.

ბროლია—ჰამ! ჰამ! გმადლობთ.

გურამი— დინგა სად არის?!

ბროლია—მაღე მოვა.

(შემორბის ლაფში ამოსვრილი დინგა).

ფ ა რ დ ა



უმოდგომა

ვახაგნე ძნელაძე

— მადლიანი უმოდგომა
რაზე მღერის, აბა, რაზე?
— ყურძნის ხვავზე, ქვევრ-მარანზე,
მაჭარსა და თათარაზე.

ნახატი თინათინ სამსონაძისა



გურამი— ეს ვინ არის?!
ბოჩოლა—ვისაც ეძებდი.
დინგა— გამარჯობათ, გურამ!
გურამი— გავიმარჯოს... (დაბნეულია, ეტყობა ვერ ცნობს).
დინგა— ნუთუ ვერ მიცანი, გურამ, დინგა ვარ.
გურამი— არა, არა მჯერა, დინგას ხომ თეთრი, ქათქათა ჯაგარი აქვს.
ბოჩოლა—(დინგას) არც კი გრცხვენია, რა გითხარი? რატომ ხარ ამოსვრილი? შემდეგ ჩვეთან აღარ გაიარო.
გურამი— არც მე მინდა ლაფში ამოსვრილი მეგობარი.

ბოჩოლა—სხვის ეზოში რატომ შეხვედი, რა საქმე გქონდა?
დინგა— სხვის ეზოსკენ დღეს არც გამიხედავს.
ბოჩოლა—ახლა არ განახეთ სხვისი ეზოდან რომ გამორბოდი და ძაღლები მოგდევენ? ვის ატყუებ, შე მსუნავო.
ბოჩოლა—ახლა კი დასჯის ღირსია.
დინგა— ბოჩოლა... მე...
ბოჩოლა—დიახ, შენ. აბა, რით შეგიძლია თავი იმართლო. გაექნება.

შეშინებული დინგა ყვირილით გარბის).

გაღაფრენა

იორაჲ ჰეჲრაჲლიჲ

თუ ფოთიდან, თუ სოჭიდან,
სოსუმიდან, გაგრიდან—
მიფრინავენ ფრინველები,—
ა-გრილ-და-ო, აგრილდა!

ასლა მარჯვედ უნდა იყო,
ასლა დროა საშური...
წალიკ-წალიკ, მუწობილად,
ფრთების ტლაშუნ-ტლაშუნით—
ურიალეებენ წეროები
ღია ზღვაში გასული.

მთელი ღამე მიფრინავენენ
ასე შეუსვენებლივ...
უცებ:

ერთი, ორი, სამი—
ზღვაზე დგანან გემები!

ჭრ...—ანძები აჭრილდნენ,
ჭრ...—მოიღეს გემბანებმა,
დაისუნჭლა სამი გემი,
ატორტმანდა ნება-ნება.

— ჰკუა ვქენით,
— ჰკუა ვქენით—
აურიალდნენ ფრინველები,—
— თბილ ქვეუნებში,
— თბილ ქვეუნებში,
ჩვენ ჩა-ვალთო ჰირვე-ლები.

ფრ... მოფრინდა ალბატროსი...
და ატესა განგაში:
მაგ გე-მე-ბით,
მაგ გე- მე-ბით
ჩაბრუ-ნდე-ბით... გაგრაში.

ნახატი თეჲჲრაჲ ჩირინაჲჲლიჲ





საქართველო
საბავშვო

მეხალი მომხმანა

— მალე, მალე გავიწვლია იქნებ, თორემ სადღაცა ბუზანკალი გამოჩნდება, კოკორში ჩამიძვრება და ჩერე კი მშვიდობით, მზეო, ცის წამო, ვაიმე, ჩა ხმა, ბუზანკალი ზომ არ მოვარინავს?— შეთრითოლდა ღილილო, მიხედ-მოიხედა. მის წინ კაკლისოდენა კოშტი მოგორავდა, არა, თვითონ კი არა,— ბოქოები მოაგორებდნენ. ერთი ქვემოდა აწვებოდა თავით, ჩაც ძალი და ღონე ქონდა, მეორეს კი ფეხები დაეწყო ზედ და ისიც ერთ ჰანაწვევებაში იყო.

— ჰეი, ძმობილი!— გასახა ღილილომ. შესახილზე ბოქოები გაიჩინდნენ, ასაგრენად მომწვანდნენ.

— ნუ გეშინიათ, ნუ, ეს მე ვარ, ღილილი! — ღილილო უფილაო,— დაიარხინენს გული ბოქოებმა და ფრთები დაუშვეს.

— შერე რა გავიჭრებ!— უსაყვედურა კოშტის პატრონმა.

— მომხმანეთ, ბუზანკალი მოვა და ნუ მოუშვებთ ჩემთან.

— მოვა და ისევე წავა, რისა გეშინია?— გადაგრაზა უღვანო ბოქომ.

— ბუზანკალი ღილილოების მტერია, ზინსა და ტბილ ნექტარს დაეძებს ჩვენს კოკორში, შიგ შოკალაობებს და სანამ არ გავჯახობს არ მოგვეშვება. ეე! აქ ბევრი ღილილო იყო, ახლა კი არსად ჩანან,— ბუზანკალებმა გაიანდურეს.

— აბა, ერთი, შემახედელ!— ახლოს მიღლიდა ერთი ბოქო.

— დამოფარეთ... დამოფარეთ... სანამ გავიწვლილივდე... შერე კი რიცა გავიშლები და ჩემი კოკორი მას ზინად აღარ გამოაღვება, რაღას დამალებს?

— ამასობაში შეიჭრე ბოქომ, საუბარში გართულ მეგობარს კოშტი აართვა და დასამადავად გადაგორა.

— მომპარა, მომპარა, რაღა უნდა ეკაში?!— აფუფუფა ბოქო და ქურდს დაეფეცა.

— ეს— თავი ჩაქედა ღილილომ,— ამათ რა

ზ ი წ ი ჳ ი მ

დახმარებას ვთხოვ, მათ ხომ მეგობრობა არ იცინა!

— ბალახებში ჩალაცამ გავიფანუნა, ღილილომ ძირს დაიხედა, ზურგზე ნინარამოდებული შინდერის ლოქორა მოხიზავდა.

— არა, არც ამას ვთხოვ შევლას, ნინარაშია გამოკეტილი...

— ბუ... ბუ...— დაიბზუღა სადღაც ბუზანკალმა.

— მოდის, მოდის, რა ვენა, რა... ნთუთ არავინა მშველელი? — ამ დროს მწყრივად მომავალი ჰიანქველები გამოჩნდნენ.

— ესენი უსათუოდ მიწველიან,— გაიხარა ღილილომ,— აბო, ჩემქენ წამოვდი!

— ვინ იძახდა?— აკითხა თავკაცმა.

— ღილილო ვარ, ღილილო, დამეხმარეთ, დამოფარეთ, ბუზანკალი მოფრინავს, აი, უკვე მოვიდა, ჩქარა, ჩქარა...

ჰიანქველები აფუფუნდნენ, ევაფილზე აცოცდნენ და მომხმანის დაეჭვდნენ. ბუზანკალმა ძლავს დააღწია თავი ხიკვლიდან.

— დაჩრით ჩემთან, სანამ გავიშლებოდე, ვაითუ ის ასევე მოზარუნდეს.— სთხოვა ჰიანქველებს ღილილომ.

— ჰიანქველები დარჩნენ.

— მე თქვენ გემჩივლ საუზმეს გავიშვადებთ,— გასახიზდა ევაფილი.

— უკვეღ ღილილო, მზე რომ ამოიწვევებოდა, ღილილო თქორთვერ წვეთებს გამოჰყოფდა, ჰიანქველები ხარხად ეწაფებოდნენ ტბილ საუზმეს. ღილილო ზედწიერი იყო, აღარ ეშინოდა ბუზანკალასი, მას მცველები ჰეფავდა,— ჰეკინია ჰიანქველები.

— დრო მალე გავიდა, ღილილოც გაიწვლია, ცისფერი კაბა შეისწორა და გაიღმა.

ნახარი პ. პაჩუკაძე

ქ ს ზ უ ჰ ც ა რ




პირიმუზა

პეპ ჩაქალიძე

- პირიმუზე, საბავშვო ბაღში ვავციანდება, თავი დანებებ მაგ თოჯინას და მოემზადე.— უთხრა დედას.
- დედიკო, გეზვეწები, მოიცადე, ჯერ თოჯინას დავბან, მერე წავიდეთ.
- ხვალ დასვენებაა, საბავშვო ბაღში ხომ არ მიდიხარ, ადექი და, ეგ შეენი თოჯინა, ხვალ რამდენიც გინდა, აბანავე.
- დედიკო, მოდი, დღეს იყოს დასვენება და საბავშვო ბაღში ხვალ წავიდეთ.



გამოსანა
საშიში მხეცი როდია,
ნუ აგიტყდებათ კანკალი,
ხის ფულუროში ბინა აქვს,
უყვარს თხილი და კაკალი.
ქეთევან ბაგრატიანიძე




ჩეხუსი



შარაღა

თივის პატარა ზვინია, დასკუპებულა მინდვრად, მითხარი მისი სახელი, შარადისათვის გვინდა. ყურცქვიტას შვილიც მოძებნად წაცუნტულა ნეტავ? პაწია არის ჯერ, მაგრამ უყვარს სტაფილოს კვნეტა ჩაუსვი პირველს შუაში ამ სიტყვის წინა ბგერა, — ჩიტო დაიწყებს გალობას, სცადე, თუ არა გჯერა!

სოთა აშირანავაძე



წვიმის შემდეგ

გიორგი მახარაძელი

გადაიღო უკვე წვიმაში, ეზოში კი ცეცქი თინა გუბე-გუბე, როგორც შველი, დატანტალებს ფეხშიშველი.



ღამურა

ნიკა ნიჟარაძე

ღამურა ჰგავს თავგუს, თუცა ფრთები აქვს. დღისით სწვენსი თვლებს, ღამით გარეთ ფრენს.



შთავარი რედაქტორი გუზრან მახარაძე

სარედაქციო კოლეჯი: კაპაძე ზორბეგოვილი, ლილია მირაძე, ჯიბაძე ლომუა, ზურაბ ლომიძე, გინვალა მარგალიტაშვილი, იმრაზ მამონტაშვილი (პეზე მდივანი), ზაზა მახარაძე (სახ. რედაქტორი), გივი ძნელაძე (სპ.), ალექ ციხისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რეგულაციური სამსახურის უფროსი ელზა ელზა - ნახატი ზურაბ მამონტაშვილი, გამომცემის 44-ე წელი.



Издательство ЦК КП Грузии

შინაპროდუქტის რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ტყეშელაშვილის 14, ტელ. მთ. რედაქციის— 93-41-30, 93-98-15, პეზე მდივანი— 93-10-32, 93-98-17; სახ. რედაქციის— 93-98-18; განყოფილება— 93-98-19; სასაქონლო— 93-98-16.

გადამცემის მისამართი: 29/VI-71 წ. ხელმოწერილი დას. ბეჭდვით 26/IX-71 წ., ქალაქის თბილისი 00X/100X. ღირს. ნაზ. ლურჯი. 2წ. ტირაჟი 150.500. შეჯ. № 2364. „ლიტა“ № 11. ნა გუჯინომოვო ენო. ფასი 20 კაპ



„წიგელთა მთელი“—ნახატი დევიან ხუჩუკრაია, 6 წ. თბილისი.
 „საკანელა“—ნახატი შაია ორგონიკიძისა, 11 წ. თბილისი.
 „მანქანები“—ნახატი შაატა ქალიაშვილისა, 6 წ. ხაშური.
 „მკვლე მთოზარი“—ნახატი დავით ლოდზერძისა, 8 წ. თბილისი.
 „მეგობრული“—ნახატი ნანა რეხვიაშვილისა, 8 წ. ქ. ნალჩიკი.
 „იუნიონკა“—ნახატი რატი ვრადისა, 7 წ. თბილისი.

